# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №305

*(CPV: 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი; 39221100 - სამზარეულოს ჭურჭელი; 31440000 - ელემენტები)*

თბილისი 20 დეკემბერი, 2014 წელი

ერთის მხრივ - სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ გეწაძის სახით და მეორეს მხრივ - ს/ს „გუდვილი“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის ნუგზარ გაბრიჭიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1. ხელშეკრულების საგანია თეატრის საკუთარი შემოსავლების სახსრებით თეატრისათვის სახარჯი რეკვიზიტების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია:

| პროდუქციის დასახელება | განზ. | რაოდ. | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| G&G - კონფლექსი | ც | 2.00 | 6.30 | 12.60 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| ახალი კომბოსტო (ქ) | კგ | 3.40 | 0.80 | 2.72 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| ბანანი (ასაწონი) | კგ | 1.85 | 3.30 | 6.11 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| ვაშლი „ჯონა გოლდენ" (ქ) | კგ | 1.946 | 2.40 | 4.67 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| სანტე-რძე კალციუმით - უცხიმო (1ლიტ) | ც | 2.00 | 3.27 | 6.54 | 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი |
| | | | *სულ* | *32.64* | |

*და*

| პროდუქციის დასახელება | განზ. | რაოდ. | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| EuroHome - სათლი შავი | ც | 1.00 | 7.95 | 7.95 | 39221100- სამზ. ჭურჭელი |
| Luminarc - ღიმილი ფიალა 16.5სმ | ც | 2.00 | 12.95 | 25.90 | 39221100- სამზ. ჭურჭელი |
| Panasonic -ელემენტი AA (6ც) | ც | 1.00 | 6.98 | 6.98 | 31440000 - ელემენტები |
| | | | *სულ* | *40.83* | |

## *2. ხელშეკრულების ღირებულება*

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 73,47 (სამოცდაცამეტი ლარი, 47 თეთრი) ლარი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩავლით.

## *3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი*

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.